საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2786 2015 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

„შპს „ბათუმი ცენტრალსა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებისა და ქ. ბათუმში თამარ მეფის გზატკეცილზე რკინიგზის სადგურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სალიანდაგო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №1319 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის ჩუქების ფორმით გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების თაობაზე

1. „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის,

შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2015 წლის 14 დეკემბრის №3 სხდომაზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული №3 გადაწყვეტილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „შპს „ბათუმი ცენტრალსა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებისა და ქ. ბათუმში თამარ მეფის გზატკეცილზე რკინიგზის სადგურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სალიანდაგო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №1319 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ ფაქტიურად გაწეული კაპიტალური დანახარჯების სს „საქართველოს რკინიგზისათვის“ დაკომპენსირება შემდგომი წლების წმინდა მოგებიდან გასანაწილებელი და სს „საპარტნიორო ფონდისათვის“ გადასახდელი დივიდენდებიდან გამოქვითვის/შემცირების გზით.“.

3. სს „საქართველოს რკინიგზამ“ უზრუნველყოს №1 დანართში მითითებული ავტოსატრასპორტო საშუალებების შესყიდვა, შემდგომში მათი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩუქების ფორმით გადაცემის მიზნით.

4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა სს

„საქართველოს რკინიგზამ“ განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

5. „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაევალოს სს „საპარტნიორო ფონდს“, ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შესყიდვებზე გაწეული ფაქტიური დანახარჯების სს „საქართველოს რკინიგზისათვის“ დაკომპენსირება, სს „საქართველოს რკინიგზის“ 2013 წლის წმინდა მოგებიდან განაწილებული და სს „საპარტნიორო ფონდისათვის“ გადასახდელი დივიდენდიდან გამოქვითვის/შემცირების გზით.

პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი დარიბაშვილი

დანართი N1

#	ობიექტის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	ავტომობილის სავარაუდო მარკა და მოდელი	რაოდენობა	ერთეულის სავარაუდო ღირებულება	ჯამური სავარაუდო ღირებულება	მოწოდების ვადა	შენიშ
1	სედანის ტიპის მსუბუქი ავტომობილი	სიგრძე 3850 მმ, სიგანე 1695 მმ, სიმაღლე 1510 მმ, ძრავის მოცულობა - 1.2 სმ3, საწვავის ტიპი -ბენზინი, გადაცემათა კოლოფი - მექანიკური, საბურავის დისკი - რკინა, საბურავის ზომა - R 15, სალონის ტიპი - ნაჭერი, აუდიო სისტემა, უსაფრთხოების ბალიშებით აღჭურვილი, კონდენციონერი, ელექტრო შუშები, გარანტია 3 წელი ან 100000კმ, გარანტია აგრეგატულ სისტემაზე 5 წელი ან 150000კმ,ფერი - თეთრი.	suzuki swift	15	€ 9,600.00	€ 144,000.00	ადგილზეა	EUR
2	სედანის ტიპის მსუბუქი ავტომობილი	სიგრძე 4620 მმ, სიგანე 1775 მმ, სიმაღლე 1465 მმ, ძრავის მოცულობა - 1.6 სმ3, საწვავის ტიპი - ბენზინი. გადაცემათა კოლოფი - ავტომატური, საბურავის დისკი - ალუმინი, საბურავის ზომა - R 16, სალონის ტიპი - ნაჭერი, აუდიო სისტემა, უსაფრთხოების ბალიშებით აღჭურვილი, კონდენციონერი, ელექტრო შუშები, გარანტია 3 წელი ან 100000კმ, გარანტია აგრეგატულ სისტემაზე 5 წელი ან 150000კმ, ფერი - რუხი (15 ერთეული), (თეთრი (1 ერთეული),	toyota corolla	16	$ 15,750.00	$ 252,000.00	ადგილზეა	USD
3	მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	სიგრძე 4475 მმ, სიგანე 1850 მმ , სიმაღლე 1655 მმ, ძრავის მოცულობა - 2.0. სმ3, საწვავის ტიპი - ბენზინი, გადაცემათა კოლოფი - ავტომატური, საბურავის დისკი - ალუმინი, საბურავის ზომა - R 17, სალონის ტიპი - ტყავის, აუდიო სისტემა, უსაფრთხოების ბალიშებით აღჭურვილი, კრუიზკონტროლი, უკანა ხედვის კამერა, 2 ზონიანი კლიმატკონტროლი, ელექტრო შუშები, გარანტია ულიმიტო გარბენით 5 წელი, ფერი - შავი (2 ერთეული), რუხი (2 ერთეული), ვერცხლისფერი (2 ერთეული).	hyundai tucson	6	$ 25,900.00	$ 155,400.00	ადგილზეა	USD
4	მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი	სიგრძე 4475 მმ, სიგანე 1850 მმ , სიმაღლე 1655 მმ, ძრავის მოცულობა - 2.0. სმ3, საწვავის ტიპი - ბენზინი, გადაცემათა კოლოფი - ავტომატური, საბურავის დისკი - ალუმინი, საბურავის ზომა - R 17, სალონის ტიპი - ნაჭერი, აუდიო სისტემა, უკანა ხედვის კამერა, უსაფრთხოების ბალიშებით აღჭურვილი, უკანა პარკირების სენსორები, საჭის გამაცხობელი, სენსორული მონიტორი, ნავიგაცია საქართველოს რუქით, ბორტ.კომპიუტერი, ელექტრო შუშები, გარანტია ულიმიტო გარბენით 5 წელი, ფერი - შავი (2 ერთეული), რუხი (2 ერთეული),	hyundai tucson	4	$ 25,600.00	$ 102,400.00	ადგილზეა	USD